შპს „M-სერვისი“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს „M-სერვისი“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 14
4. ძირითადი საშუალებები 15
5. არამატერიალური აქტივები 16
6. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში 16
7. მოთხოვნა მაკონტროლებელი საწარმოს მიმართ 16
8. მარაგები 17
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17
10. საგადასახადო მოთხოვნები 17
11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 17
12. ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე 17
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 18
14. ამონაგები 18
15. სხვა შემოსავალი 18
16. შეძენილი მომსახურების ხარჯები 19
17. სხვა საოპერაციო ხარჯი 19
18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა 20
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 20
20. ფუნქციონირებადი საწარმო 22
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 22

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

		31.12.2021		31.12.2020	
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	4	4,216,403		4,298,246	
არამატერიალური აქტივები	5	2,236		2,721	
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ კაპიტალის შევსებაზე		1,397,265		1,672,346	
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		114,000		114,000	
სულ გრძელვადიანი აქტივები			**5,729,904**		**6,087,313**
მიმდინარე აქტივები					
მარაგი	8	119,252		1,532,377	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,617,332		282,102	
საგადასახადო მოთხოვნები	10	4,243		14,378	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	1,070,231		1,196,506	
სულ მიმდინარე აქტივები			**2,811,058**		**3,025,363**
სულ აქტივები:			***8,540,962***		9,112,676
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
გადაფასების რეზერვი		2,676,915		2,708,535	
საწესდებო კაპიტალი		4,000,000		4,000,000	
გაუნაწილებელი მოგება–ზარალი		97,278		45,560	
სულ საკუთარი კაპიტალი			**6,774,193**		**6,754,095**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე	12	72,800		76,800	
მოკლევადიანი ვალდებულებები			**72,800**		**76,800**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,693,969		2,282,244	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			**1,639,969**		**2,282,244**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			***8,540,962***		***9,112,676***

დირექტორი თ.დვალიშვილი

მთ. ბუღალტერი ე.თათრიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

		31.12.2021		31.12.2020	
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	4	4,216,403		4,298,246	
არამატერიალური აქტივები	5	2,236		2,721	
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ კაპიტალის შევსებაზე		1,397,265		1,672,346	
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		114,000		114,000	
სულ გრძელვადიანი აქტივები			**5,729,904**		**6,087,313**
მიმდინარე აქტივები					
მარაგი	8	119,252		1,532,377	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,617,332		282,102	
საგადასახადო მოთხოვნები	10	4,243		14,378	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	1,070,231		1,196,506	
სულ მიმდინარე აქტივები			**2,811,058**		**3,025,363**
სულ აქტივები:			***8,540,962***		9,112,676
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
გადაფასების რეზერვი		2,676,915		2,708,535	
საწესდებო კაპიტალი		4,000,000		4,000,000	
გაუნაწილებელი მოგება–ზარალი		97,278		45,560	
სულ საკუთარი კაპიტალი			**6,774,193**		**6,754,095**
გრძელვადიანი ვალდებულებები					
ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე	12	72,800		76,800	
მოკლევადიანი ვალდებულებები			**72,800**		**76,800**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,693,969		2,282,244	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			**1,639,969**		**2,282,244**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			***8,540,962***		***9,112,676***

დირექტორი — თ.დვალიშვილი

მთ. ბუღალტერი — ე.თათრიაშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

		2021წ.	*2020წ.*
ამონაგები	14	5,204,329	4,682,547
სხვა შემოსავალი	15	**3,338**	12,352
შესრულებული კაპიტალიზებული სამუშაო			829
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		**(1.413,219)**	**(1.036.959)**
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(2,864,026)	(2.758.365)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(142,183)	(136,160)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(83,277)	(41,461)
შეძენილი მომსახურების ხარჯები	16	(571,352)	(440,189)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(86,081)	(5,786)
საგადასახადო ხარჯი		-	(18.797)
სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(38,055)	(20.221)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		**9,474**	**237,790**
საკურსო სხვაობებით გამოწვეული შემოსულობები(ხარჯი)წმინდა		**11,107**	**(146,524)**
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		**20,581**	**97.052**
მოგების გადასახადი			
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		**20,581**	**91,266**
ძირ.საშ.სგადაფას.მიღებული შემოსავალი			2,708,535
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**20,581**	**2,799,801**

დირექტორი: თ.დვალიშვილი

მთ. ბუღალტერი: ე.თათრიაშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

		2021წ.	*2020წ.*
ამონაგები	14	5,204,329	4,682,547
სხვა შემოსავალი	15	**3,338**	12,352
შესრულებული კაპიტალიზებული სამუშაო			829
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		**(1.413,219)**	**(1.036.959)**
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(2,864,026)	(2.758.365)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(142,183)	(136,160)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(83,277)	(41,461)
შეძენილი მომსახურების ხარჯები	16	(571,352)	(440,189)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(86,081)	(5,786)
საგადასახადო ხარჯი		-	(18.797)
სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(38,055)	(20.221)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		**9,474**	**237,790**
საკურსო სხვაობებით გამოწვეული შემოსულობები(ხარჯი)წმინდა		**11,107**	**(146,524)**
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		**20,581**	**97.052**
მოგების გადასახადი			
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		**20,581**	**91,266**
ძირ.საშ.სგადაფას.მიღებული შემოსავალი			2,708,535
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**20,581**	**2,799,801**

დირექტორი: თ.ცვალიშვილი

მთ. ბუღალტერი: ე.თაბრიაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 31.12.2019	*4,000,000*	*(45,706)*	-	*3,954,294*
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		*91,266*		*91,266*
სხვა სრული შემოსავალი (ძირით საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი)			*2,708,535*	*2,708,535*
ნაშთი 31.12.2020	*4,000,000*	*45,560*	-	*6,754,095*
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)		20,581		20,581
გადაფასების რეზერვის ცვლილება		31,137	(31,137)	
გადაფასების რეზერვის ცვლილება			(483)	(483)
ნაშთი 31.12.2021	*4,000,000*	97,278	2,676,915	6,774,193

დირექტორი თ.დვალიშვილი

მთ. ბუღალტერი ე.თათრიაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 31.12.2019	***4,000,000***	***(45,706)***	-	***3,954,294***
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		*91,266*		*91,266*
სხვა სრული შემოსავალი (ძირით საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი)			*2,708,535*	*2,708,535*
ნაშთი 31.12.2020	***4,000,000***	***45,560***	-	*6,754,095*
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)		20,581		20,581
გადაფასების რეზერვის ცვლილება		31,137	(31,137)	
გადაფასების რეზერვის ცვლილება			(483)	(483)
ნაშთი 31.12.2021	***4,000,000***	97,278	2,676,915	6,774,193

დირექტორი ... ... დვალიშვილი

მთ. ბუღალტერი ... ... ეთათრიაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	2021 წ.		2020 წ.	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,772,304		4,131,504	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3,707,166)		(3,051,954)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(120,689)		(95,137)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	(55,551)		984,413	
გადახდილი გადასადახადები	(65,225)		(48,723)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(120,777)		**935,690**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა				
კაპიტალის შეკვსება	50,000		90,000	
ძირითადი საშუალებების გაყიდვა				
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(4,400)		(4,400)	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		46,000		**85,600**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
გადახდილი დივიდენდი			-	
მიღებული პროცენტები				
სავალუტო გადაფასების შემოსავალი			70,601	
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(51,497)			
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(51,498)		**70,601**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		(126,275)		**1,091,891)**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1,196,506		**104,616**	
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1,070,231		**1,196,506**	

დირექტორი — თ.დვალიშვილი

მთ. ბუღალტერი — ე.თათრიაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	2021 წ.		2020 წ.	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,772,304		4,131,504	
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3,707,166)		(3,051,954)	
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(120,689)		(95,137)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	(55,551)		984,413	
გადახდილი გადასადახადები	(65,225)		(48,723)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(120,777)		**935,690**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა				
კაპიტალის შეკვეცა	50,000		90,000	
ძირითადი საშუალებების გაყიდვა				
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(4,400)		(4,400)	
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		46,000		**85,600**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
გადახდილი დივიდენდი			-	
მიღებული პროცენტები				
სავალუტო გადაფასების შემოსავალი			70,601	
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(51,497)			
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(51,498)		**70,601**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		(126,275)		**1,091,891)**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	1,196,506		**104,616**	
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1,070,231		**1,196,506**	

დირექტორი		თ.დვალიშვილი
მთ. ბუღალტერი		ე.თათრიაშვილი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „M სერვისი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისგმებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2009 წლის 12 თებერვლიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 202456920; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.# 74.

საწარმოს პარტნიორი და 100%-ის წილის მფლობელია **სს კომპანია „მედინსერვი“**, რომელიც არის სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებულია 1996 წლის 19 მაისს, საქართველოში, ქ. თბილისი, დგებუაძის #1–ში. საწარმოს საწესდებო კაპიტალი შევსებული არა აქვს სრულად და მას კაპიტალის შევსების ვალდებულება აკისრია.

შპს „M სერვისი“ (შემდეგში საწარმო) საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ახორციელებს მომსახურებას და სავაჭრო საქმიანობას, ასევე სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენას და რეალიზაციას საბითუმოდ და საცალოდ. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საზოგადოება სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენას და სხვა ხასიათის მომსახურებას-რეალიზაციას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობით. საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება ახორციელებს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

ბიზნეს გარემო საქართველოში

საწარმოს საქმიანობა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო

კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.
უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.
უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)“.
უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსები იყო შემდეგი:

	ლარი/აშშ. დოლარი
31.12.2020	3,2766
31.12.2021	3,0976

	ლარი/ევრო
31.12.2020	4,0233
31.12.2021	3,5040

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც საწარმოებს სთავაზობს ერთიან, სრულ სააღრიცხვო მოდელს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 15 მა ჩაანაცვლა შემოსავლის აღიარების არსებულ მიდგომა, მათ შორის ბასს 18- ს - შემოსავლები, ბასს11-ს - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:
აღნიშნული მოდელი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს - 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. მან ჩაანაცვლა ბასს 39, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.
ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.
გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის

„მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებას, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.
ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომებს ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნული სტანდარტის ძალაში შესვლას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტი, რომელიც ძალაშია შესული 2019 წლის 1 იანვრისთვის:
ფასს 16 - იჯარა - (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ს თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე. ხელმძღვანელობის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.
აღნიშნული სტანდარტის ძალაში შესვლას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვა

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

საწარმო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. მესამე მხარის სახელით მიღებული თანხები, როგორიცაა მაგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ მიეკუთვნება ამონაგებს.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

როდესაც საწარმო დივიდენდებს გასცემს კაპიტალის წილის მფლობელებზე, მას ევალება დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. გადასახადის თანხა, რომელიც გადაიხდება ან ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოებისათვის, აისახება საწარმოს საკუთარ კაპიტალში, როგორც დივიდენდების ნაწილი.

უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს წარადგენს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდეება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისაგან. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის სრული სემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო იყენებს გადაფასების მოდელს. აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, აისახება გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა–ნაგებობები	2-5%
მანქანა-დანადგარები	3-20%
საოფისე აღჭურვილობა	10-20%
ავეჯი და მოწყობილობები	10-20%
სატრანსპორტო საშუალებები	7-10%
სხვა ძირითადი საშუალებები	10-15%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო საზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს და აღდგება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციისა და ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვაგადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმო ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, რომელსაც (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), დამატებული ან გამოკლებული აქვს გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც: რეალური ღირებულების შეფასებული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით; დაფარვის ვადამდე ფლობილი; გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; სესხები და მოთხოვნები;

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სვა მოთხოვნების, ფულადი სახსრების ჩათვლით) ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტის თანხა, გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, რომელიც უნმიშვნელო იქნებოდა, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოთხოვნების გაუფასურება

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურების ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

თუ საწარმო დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა იგი, საწარმო ამ აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსურ აქტივთა ჯგუფს და ერთად ამოწმებს მათ გაუფასურებას. პორტფელის გაუფასურების ობიექტურ ნიშანი შეიძლება იყოს წარსულის მონაცემები დაფარვასთან დაკავშირებით, დაფარვის საშუალო ვადის გადაცილება, რომელიც საწარმოს მიერაა დადგენილი, ასევე საგრძნობი ცვლილება ეკონომიკაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნების დაფარვაზე. მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის განსაზღვრა. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფიანანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია მიღებული სესხების, სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების (როგორიცაა საპროცენტო და სხვა დანახარჯები) აღიარება ხდება ხარჯის სახით, გარდა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული იმ დანახარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან. განსაკუთრებული აქტივთან დაკავშირებული ნასესხები საშუალებების დანახარკები აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში.

მაშინ, როდესაც საწარმოს მიერ აღებული ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, გამოყენებული იქნება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. იგი გამოითვლება როგორც ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების საშუალო შეწონილი სიდიდის თანაფარდობა საწარმოს ნასესხები სახსრების იმ ნაწილთან, რომელიც გადავადებულია მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში და განკუთვნილი არ არის განსაკუთრებული აქტივის შესაძენად.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად საიჯარო გადასახდელები იჯარის ვადის განმავლობაში ხარჯად და შემოსავლად აღიარდება წრფივი მეთოდით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დაბეგვრა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა იბეგრება სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარდგენილია (ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) „სხვა საოპერაციო ხარჯების" და „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი" მუხლებში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია, რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა)ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო

მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	505,800	134,339	890,810	124,150	124,507	26,564	38,597	1,844,767
შემოსვლა			829	11,535	18,029	1,568	35,655	67,615
გადაფასებამდე დაგროვილი ცვეთის გადახურვა			(154.747)	(41,563)	(81,039)	(20,180)	(15.439)	(312.968)
გადაფასება	1,976,850		685,407	4,279	29,501	6,617	(158)	2,702,496
გასვლა						(146)		(146)
31 დეკემბერი 2020	2,482,650	134,339	1,422,299	98,401	90,998	14,423	58.655	4,301,764
შემოსვლა					127	1,358		1485
გასვლა/კორექტირება						(656)		(656)
31დეკემბერი 2021	2,482,650	134,339	1,422,299	98,401	91,125	15,125	58,654	4,302,593
31 დეკემბერი 2019	-	-	136,235	35,971	74,713	17,013	11,579	275,511
პერიოდის ცვეთა			18,512	6,073	7,086	3,267	6,038	40,976
გადაფასებამდე დაგროვილი ცვეთის გადახურვა			(154,747)	(41,563)	(81,039)	(20,180)	(15.439)	(312.968)
გასვლა								
31 დეკემბერი 2020	-	-	(0)	481	760	99	2.178	3.519

პერიოდის ცვეთა			47,410	14,576	13, 381	2,748	4,677	82,792
გასვლა					(120)			(120)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	505,800	134,339	754,575	88,180	49,794	9,552	27,017	1,569,256
31 დეკემბერი 2020	2,482,650	134,339	1,422,299	97,920	90,238	14,324	56,474	4,298,246
31 დეკემბერი 2021	2,482,650	134,339	1,374,889	83,344	76,984	12,398	51,797	4,216,403

5.1. კომპანიის ბალანსზე არსებულ ძირითად საშუალებებზე გირავნობა ან რაიმე სახის უფლებრივი შეზღუდვა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ არსებობს.

5. არამატერიალური აქტივები

საწარმოს არამატერიალური აქტივის სახით ერიცხება საბუღალტრო პროგრამები "ინფო ბუღალტერი", „ორის ბუღალტერი". არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

6. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

საწარმო წილობრივ ინსტრუმენტებს აღრიცხავს თვითღირებულებით.

შპს „M-სერვისი" 2018 წლის 27 აპრილამდე ფლობდა შპს „Georgian Natural Food Company"-ის (ს.ნ.: 401978008) 30%-იან წილს. 2018 წლის 27 აპრილს კი მან 'მოახდინა აღნიშნული კომპანიის კაპიტალის მფლობელი (მოწილე) ფიზიკური პირებიდან წილის ჯამურად 50%-ის გამოსყიდვა და გახდა 80%-ის მფლობელი (ინვესტირებული ღირებულება შეადგენს 64,000 ლარს), თუმცა შპს „Georgian Natural Food Company"-ის კონსოლიდირებას შპს „M-სერვისი" არ ახდენს, რადგან კონსოლიდირებას მოახდენს შპს "M-სერვისის" მაკონტროლებელი კომპანია სს "კომპანია მედინსერვი" (ს.ნ.: 201951094).

2018 წლის 19 მარტს შპს „M-სერვის"-მა, ერთ-ერთ შვეიცარულ საწარმოსთან ერთად, (წილები გადანაწილებულია 50/50), დააფუძნა სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი „გენომიკა" (ს.ნ.: 402080154). საწარმოს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 ლარით, როგორც ფულადი ისე არაფულადი შენატანის სახით. კაპიტალის შევსება საანგარიშგებო წლის ბოლომდე არ განხორციელებულა.

აღნიშნულ საწარმოებს სამეურნეო ოპერაციები საანგარიშგებო პერიოდში არ განუხორციელებიათ.

	2021	2020
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში (მეკავშირე 2017-ში)	64,000	64,000
ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	50,000	50,000
სულ	**114,000**	**114,000**

7. მოთხოვნა მაკონტროლებელი საწარმოს მიმართ

	2021	2020
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე მაკონტროლებელი საწარმოს მიმართ	1,397,265	1,672,346
სულ	**1,397,265**	**1,672,346**

დაფუძნების დღიდან დამფუძნებლის მიერ კაპიტალი შევსებულია 2,602,735 ლარის ღირებულებით როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი შენატანის გზით. 4,000,000 ლარამდე კაპიტალი გაზრდილია 2019 წელს.

8. მარაგები

	2021	2020
მედიკამენტები	112,638	1,524,323
კლინიკური კვლევების საქონელი	-	-
სხვა საქონელი	6,614	8,147
სულ	**119,252**	**1,532,471**

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,586,451	187,442
გადახდილი ავანსები		76,178
სხვა მოთხოვნები	14,233	18,644
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	16,647	
სულ	**1,617,332**	**282,063**

10. საგადასახადო მოთხოვნები

საგადასახადო მოთხოვნები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2021	2020
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	998,540	1,177,797
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	71,431	17,729
ფული სალაროში	261	980
სულ	**1,070,231**	**1,196,506**

12. ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე

	2021	2020
ვალდებულება ერთობლივ საწარმოსთან	50,000	50,000
ვალდებულება კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოსთან	22,800	26,800
სულ	**72,800**	**76,800**

იხილეთ ასევე შენიშვნა 7 – „მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში“

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
სავაჭრო ვალდებულება მაკონტროლებლის წინაშე	2,670,477	2,275,007
წინასწარ მიღებული თანხები	-	-
ვალდებულებები კომუნალურ და სხვა მომსახურებებზე	23,491	7,237
სულ	**3,693,968**	**2,284,244**

14. ამონაგები

	2021	2020
შემოსავალი მედიკამენტების საექსპორტო რეალიზაციიდან	4,981,871	3,874,396
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(316,641)	(211,014)
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზიციიდან	310,899	800,298
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	52,183	57,016
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	174,816	151,022
შემოსავალი კლინიკური კვლევების მომსახურებიდან	1,202	10,829
სულ	**5,204,329**	**4,682,547**

15. სხვა შემოსავალი

	2021	2020
საპროცენტო შემოსავლები	-	-
უსასყიდლო ფასეულობიდან (საჩუქარი) მიღებული შემოსავალი	-	577
უსასყიდლო მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	-	-
კომპენსაციიდან მიღებული შემოსავალი	-	373
საკურსო სხვაობებით გამოწვეული შემოსულობები		-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3,338	11,402
სულ	**3,338**	**12,352**

16. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	2021	2020
საპრომოციო მომსახურების ხარჯი	445,289	368,846
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	50	8,870
შენახვისა და საწყობის ხარჯები	9	1,054
რეექსპორტზე და ექსპორტზე გაწეული ხარჯები	32,905	19,677
მედიკამენტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები	4,331	8,895
საიჯარო ქირის ხარჯი	4,800	3,600
სამეურნეო და სხვა ჰიგიენური ხარჯი	7,495	7,790
დაზღვევის ხარჯი	3,177	3,877
მოსაკრებლები და გადასახდელების ხარჯი	5,008	1,026
ბანკის ხარჯები	1,260	2,210
დასუფთავების ხარჯი	2,126	1,962
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-
ავტოტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	119	725
სხვა მომსახურების ხარჯი	64,783	11,657
სულ	**571,352**	**440.189**

17. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2021	2020
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	7,676	500
ელ. ენერგიის ხარჯი	29,367	18,694
კვლევების უსასყიდლო მომსახურ. ხარჯი	-	-
ძირ. საშუალების ჩამოწერის ხარჯი	53	145
სხვა დანარჩენი ხარჯები (საპენსიო ხარჯი)	959	882
სულ	**38,055**	**20.221**

18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების" მიხედვით, არის როდესაც:
ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწამოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;
დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.
დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს აკონტროლებს სს „კომპანია მედინსერვი" 100%-იანი წილის ფლობით. ხოლო თვით შპს „M-სერვისი" საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ფლობს მაკონტროლებელ წილს შპს „Georgian Natural Food Company"-ში (80%). კონსოლიდირებას არ ახდენს, რადგან კონსოლიდირებას მოახდენს სს „კომპანია მედინსერვი". საწარმო ფლობს ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს - სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი „გენომიკა".

იხილეთ ქვემოთ ოპერაციები საანგარიშგებო პერიოდებსა და ნაშთები საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს მაკონტროლებელ საწარმოსთან და მის შვილობილ საწარმოებთან:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

	2021	2020
მაკონტროლებელი საწარმო	745,159	806.849
ერთობლივი საწარმო	-	-
მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოები	20,339	17727
მ ფარმა	20,339	7703
M-პროდაქტი	-	10024
სულ	**765,498**	**824.576**

საქონლის/მომსახურების შეძენა:

	2021	2020
მაკონტროლებელი საწარმო	3,182,857	3,075,377
მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოები	5,344	4032
მ ფარმა	544	432
M-პროდაქტი	4800	3600
სულ	**3,188,201**	**3,079,409**

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:
მოთხოვნები:

	2021	2020
მაკონტროლებელი საწარმო	-	-
ერთობლივი საწარმო	-	-
მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოები	-	-
სულ	-	-

ვალდებულებები:

	2021	2020
მაკონტროლებელი საწარმო	1,670,476	2,275,007
სულ	1,670,476	2,275,007

საანგარიშწორებო ნაშთები არაფრით არაა უზრუნველყოფილი და გადახდილი იქნება ფულადი ფორმით.

არ ყოფილა გაცემული და მიღებული არანაირი გარანტია. საანგარიშგებო წელს და წინა წლებში არ დარიცხული საეჭვო ვალის რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2021	2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	24,600	26,600
სულ	**24,600**	**26,600**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დირექტორსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გადასახდელი ნაშთი ან წინასწარ გადახდილი ანაზღაურება არ არსებობს.

20. ფუნქციონირებადი საწარმო

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით ამზადებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საანგარიშგებო პერიოდების მანძილზე საწარმო საქმიანობას ზარალით ასრულებს, ამ ნაწილში ფიქსირდება დადებითი დინამიკა (ზარალის შემცირება). ამავდროულად, შპს „M-სერვისი“ წარმოადგენს კომპონენტს, ს.ს. კომპანია „მედინსერვი“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და ჯგუფის დონეზე მნიშვნელოვან საოპერაციო რგოლს.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „M-სერვისი“-ს დირექტორმა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 10 სექტემბერს.